საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/136

ქ. ბათუმი 19 ივლისი, 2023 წელი

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან
(შპს ,,დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი" და შპს ,,ალტე")
ბსუ-ში რიგგარეშე მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,,შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' **სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 6 ივლისის N1.1/96 ბრძანების,** <u>შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის"</u> საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 11 ივლისის N1.1/100 ბრძანების,** ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 13 ივლისის N06-01/74 და №06-01/75 დადგენილებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 11 ივლისის MES 223 0000866246 და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 13 ივლისის MES 8 23 0000879266 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის განისაზღვროს ბსუ-ში რიგგარეშე მობილობის ვადები:

ა) შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ქართულენოვანი) სტუდენტთათვის, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,მედიცინის'' ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი) გადმოყვანის მიზნით (50 ვაკანტური ადგილი);

ბ) შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის მიზნით (10 ვაკანტური ადგილი.)

2. გამოცხადებული რიგგარეშე მობილობის მსურველთა მიერ წინამდებარე ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს **2023 წლის 24-31 ივლისის** (17:00-საათამდე) ჩათვლით, ელექტრონულად, ბსუ-ს ელექტრონულ მისამართზე - chancellery@bsu.edu.ge.

3. რიგგარეშე მობილობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს: დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (შესავსები განაცხადის ფორმა განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ე) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. რიგგარეშე მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების ბსუ-ს მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის საფაკულტეტო დასკვნების (კრედიტების აღიარების დასკვნა) მომზადდეს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებულად უზრუნველყოფილი იქნეს მობილობის მსურველთათვის გაცნობა.

5. რიგგარეშე მობილობის მსურველთა მიერ კრედიტების აღიარების დასკვნების გაცნობის შემდეგ, მობილობის მსურველის თანხმობის (ან უარყოფის) შესახებ განცხადებების რეგისტრაცია განხორციელდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) **2023 წლის 4 აგვისტოს 17:00** საათამდე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, N1 კორპუსი, სართული, ოთახი N1).

6. რიგგარეშე მობილობის შედეგად ბსუ-ს ,,მედიცინის'' ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო და ,,ინგლისური ფილოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება მომზადდეს და წარედგინოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას **2023 წლის 7 აგვისტოს.**

7. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი ტექსტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

8. წინამდებარე ბრძანება აისახოს სსიპ - უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და წარედგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

10. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30), მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**